სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

კონკურსის მეშვეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენის მომსახურების შესყიდვა

სარჩევი

1. *ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის* _____ 2
2. *საკონკურსო პირობები* _____ 3
3. *საკონკურსო წინადადების ფასი* _____ 9
4. *ანგარიშსწორების პირობები* _____ 9
5. *საკონკურსო წინადადება* _____ 10
6. *საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი და წესი* _____ 10
7. *დამატებითი ინფორმაცია* _____ 11
8. *სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი* _____ 12

ქ. თბილისი
2014 წელი

ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

1.2 კონკურსის შეწყვეტა:
ა) საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს პრეტენდენტის შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.3 საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პირთან, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდება საკონკურსო კომისიის მიერ გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტში, რომელიც საორიენტაციო ხასიათისაა და ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.4 კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ არის შედგენილი ამ წესის მოთხოვნათა დაცვით/ ანარ შეესაბამება შემსყიდველის მიერ საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ;
ბ) თუ ის არ დააზუსტებს შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას;
გ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“
დ) „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

2. საკონკურსო პირობები

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1. დასაგეგმარებელი ობიექტების დახასიათება:

ა) დამთვალიერებელთა ცენტრი-ადმინისტრაცია:

ცენტრში მოსული სტუმარი იღებს კანიონის დათვალიერების ბილეთს და მისთვის საინტერესო ინფორმაციას კანიონის და მთლიანად რეგიონში არსებული მსგავსი ტურისტული ღირშესანიშნაობების შესახებ.

- საინფორმაციო (საგამოფენო) და სალარო. საერთო ფართობი 25-30 კვ.მ; (შეღწევადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის);
- სუვენირების მაღაზია(დამოუკიდებელი სივრცე). ფართობი 6-10 კვ.მ;
- სანკვანძები დამთვალიერებელთათვის. ერთი მამაკაცებისათის, ერთი ქალებისათვის და ერთი ქალი/კაცი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- ადმინისტრაციის ბლოკი:
  დირექტორის ოთახი 8-10 კვ.მ;
  ადმინისტრაციული ოთახი (3 ადამიანზე). ფართობი 15-20 კვ.მ;
  დაცვის უფროსის ოთახი. ფართობი 8-10 კვ.მ;
  სამზარეულო კუთხე. ფართობი 6-8 კვ.მ;
  1 საერთო სანკვანძი;
  ტექნიკური ოთახი. ფართობი 6კვ.მ;
  ინვენტარის საწყობი. ფართობი 6-8 კვ.მ;
  შენობასთან ინტეგრირებული გადახურული სივრცე (ტერასა.)

ზემოთ ჩამოთვლილი სათავსები დაგეგმარდეს ერთ სართულზე.

შენობისათვის შერჩეული ადგილი - მარტივი, სწორი რელიეფია.

ბ) ინფრასტრუქტურული ობიექტები.

- გადასახედი ბაქანი მოაჯირით (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება- ბუნებრივი ჟანგვის პროცესი) 20კვ.მ;
- ორი ხიდი (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება-ბუნებრივი ჟანგვის პროცესი)
  აქედან, ერთი 6 მ სიგრძის მეორე 10-14 მ (ზუსტი ზომები და განთავსების ზუსტი ადგილები დაზუსტება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში.
- პირსი (ნავმისადგომი) გასასეირდნებელი ნავებისათვის; (მეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქცია) სიგრძე 5-6 მ, სიგანე 2.მ (ზუსტი ზომები და განთავსების ზუსტი ადგილები დაზუსტება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში.).
- ნავების შესანახი გადახურული სივრცე ნავის ამოსაყვანი მექნიზმით.
- გადახურული მოსაცდელი სკამები; (მეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქცია)
- ტერიტორიის ღობე 1.80მ სიმაღლის (მეტალის) ღობის გრძივი მეტრაჟი და საზღვრები დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში.
- მიმართულების მაჩვენებლები წარწერებით (მეტალის და ხის კომბინაცია).

- გარე მონტაჟის საინფორმაციო დაფები.
- საფეხმავლო ბილიკი-კიბე მოაჯირით (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება-ბუნებრივი ჟანგვის პროცესი)
- ტერიტორიაზე არსებული წისქვილის რეკონსტრუქცია (შესაძლებელია შემდგომში ელ.ენერგიის მისაღებად განვითარება)ფოტოსურათი იხილეთ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართ #1-ში.
- ტერიტორიაზე არსებული ძველი (დადიანების საბანაოზე ჩასასვლელი) ქვის კიბის რესტავრაცია, მეტალის მოაჯირის დამატებით.
- კანიონში კლდის გარკვეულ მონაკვეთზე კონსოლური ან შეკიდული ბილიკი (მეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქცია, დამუშავება-ბუნებრივი ჟანგვის პროცესი,
  (ბილიკის გრძივი მეტრაჟი და საზღვრები დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრული საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში).
- სოფელთან დამაკავშირებელი „ბეწვის ხიდი“ აღდგენა ფოტოსურათი იხილეთ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართ #1-ში
- ნავმისადგომამდე მისასვლელი გზის რთულ მონაკვეთებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამოძრაო ბილიკის მოწყობა.

დამთვალიერებელთა მოძრაობის მიმართულება და ინფრასტრუქტურის ელემენტების მიახლოებითი ადგილმდებარეობა დატანილია ტერიტორიის აერო-ფოტო გადაღებაზე. (ობიექტების ადგილები დაზუსტდება ტოპო გადაღების შესრულების შემდგომ) იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #1.

2. გეგმარების ძირითადი კრიტერიუმები:

კონკურსანტმა პროექტის დამუშავებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- ობიექტების იერსახე უნდა იყოს ესთეტიურად დახვეწილი და მაქსიმალურად ჰარმონიული ადგილობრივ ლანდშაფტთან.
- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება და არსებული ლანდშაფტის ცვლილება.
- კონკურსანტმა უნდა იხელმძღვანელოს “*მდგრადი არქიტექტურის”* პრინციპებით. გასათვალისწინებელია შენობის ენერგოეფექტურობა, პასიური და აქტიური მზის გადაწყვეტები, ბუნებრივი განათება, ბუნებრივი ვენტილაცია.

- გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, პრიორიტეტი მიენიჭოს ბუნებრივი, ადგილობრივი/რეგიონალური მასალების გამოყენებას.
- პროექტირებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს რეგიონის კლიმატური პირობები.
- კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობები უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ექსპლუატაციას და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სეისმომედეგობის ნორმებს .

საპროექტო გადაწყვეტილებებმა და სამშენებლო მასალათა შერჩევამ უნდა უზრუნველყოს კომპლექსში შემავალი ობიექტების მინიმალური საექსპლოატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები,მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებების ინტენსივობა.

3. მოთხოვნები საპროექტო დოკუმენტაციისადმი:

მიმწოდებელს ევალება:

1. საძიებო სამუშაოების ჩატარება.

2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

3. საავტორო ზედამხედველობის გაწევა მშენებლობის პერიოდში.

4. მომსახურება ადგილობრივ სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში.

5. საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა.

<u>**დეტალური აღწერა**</u>

1. **საძიებო სამუშაოები:**

- საპროექტო ტერიტორიის დეტალური ტოპოგრაფიული რუკის შედგენა. (მ 1:500)

- საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიურ კვლევას. (შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილებში) ტერიტორიის გეოლოგიური პირობების ზოგადი აღწერა. ლითოლოგიური ჭრილები, გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების განსაზღვრა.გრუნტის წლების არსებობის შემთხვევაში მათი დონეების დადგენა

- გარემოზე ზემოქმედების (გზშ) კვლევა.რომელიც უნდა შედგეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

- ჩატარდეს ჰიდროლოგიური გაანგარიშებები (წყლის ხარჯის გაზომვა წყალმცირობის და წყალდიდიობის დროს, ანუ მდინარის მაქსიმალური და მინიმალური წყლის ხარჯების და დონეების დადგენა. რის საფუძველზეც დაიგეგმება ნავმისადგომი, მისი მდგრადობა და შეირჩევა ნავის ტიპები).

- გასასეირნებელი ნავის ტიპის შერჩევა.

2. **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია:** დეტალურად დამუშავებული **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაცია, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- **არქიტექტურული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**

არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც საერთო გენერალური გეგმის, ასევე ცალკეული შენობების, თუ სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ.

- კომპლექსის გენერალური გეგმა. მასშტაბში (1:500).
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ტერიტორიის ათვისების გეგმები მსხვილ მასშტაბში (1:200)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და მიწის სამუშაოების კარტა, ასეთის არსებობის შემთხვევაში მასშტაბში (1:200 1:500)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების საფარის ტიპების გეგმა შესაბამისი ჭრილების ჩვენებით. საჭიროების შემთხვევაში არსებული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს მწვანე საფარის აღდგენის ღონისძიებებს (ეგრეთ წოდებული დენდრო პროექტი)
- კომპლექსში შემავალი ობიექტების და ცალკეული შენობა-ნაგებობების სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (ეგრეთ წოდებული რენდერები მაღალი რეზოლუციით)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ფასადები, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური გეგმები ავეჯის და ინვენტარის განლაგების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების დაკვალვითი გეგმები, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების გრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი (1:50 ან 1:100). თითო შენობაზე უნდა დამუშავდეს მინიმუმ ორი ჭრილი.

- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების სახურავების გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კედლებისა და ტიხრების მარკირების გეგმები მათი ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების იატაკებისა და ჭერების მოპირკეთების გეგმები მოპირკეთების ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კედლების შიდა მოპირკეთების მარკირების გეგმები მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- ინტერიერის განშლები, ფერების და მასალეების მითითებით.(1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ღიობების შევსების მარკირების გეგმები და კარ-ფანჯრების ტიპები მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, სახურავის კვანძები და სხვა დეტალები) მასშტაბი (1:5, 1:10 ან 1:20)
- კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ავეჯისა და ინვენტარის ნახაზები, თვალსაჩინო გამოსახულებები და ჩამონათვალი.
- ყველა ობიექტის დეტალური სპეციფიკაციები.

- **კონსტრუქციული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - კონსტრუქციული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, კომპლექსში შემავალ შენობება-ნაგებობებზე (კონსტრუქციებზე მოქმედი მოსალოდნელი დატვირთვები, კონსტრუქციული სქემების აღწერა).
  - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების ქვაბულების გეგმები და პროფილები მასშტაბი (1:50 ან 1:100).
  - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების საძირკვლების მარკირების გეგმები და საძირკვლების ტიპები, მასშტაბი (1:50 ან 1:100).
  - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების ნახაზები შერჩეული კონსტრუქციული სქემებისა და მასალის შესაბამისად. შენიშვნა: რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში, ნახაზებს უნდა ახლდეს საარმატურე ფოლადის დეტალური სპეციფიკაციები; ლითონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში, პროექტი უნდა ითვალისწინებდეს დეტალიზირებული ნახაზების (ეგრეთწოდებული kmd სტადია) დამუშავებას.
  - კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობების კონტრუქციებში ხის მასალის გამოყენების შემთხვევაში, პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციული ელემენტებისა და მათი შეერთების საკონტაქტო დეტალების დაწვრილებით სპეციფიკაციებს.

- **მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო-მატერიალურ-შრომით რესურსებზე მშენებლობის მოთხოვნილების, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართზე მშენებლობის მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში ასევე უნდა მიეთითოს საჭირო უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვითი ღონისძიებანი.
  - კომპლექსის ობიექტების სამშენებლო გენერალური გეგმები დროებითი შენობა ნაგებობების (სასაწყობე, საყოფაცხოვრებო, დროებითი გზები, წყალსადენი,ელ.ქსელი) ჩვენებით.
  - კომპლექსის მშენებლობის კალენდალური გეგმა, კაპიტალდაბანდებათა განაწილების ჩვენებით თვეების მიხედვით.
  - კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების კალენდარული გრაფიკები, მუშა ხელის მოძრაობის დიაგრამების ჩვენებით.

- **სპეციფიკაციების ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - გამოყენებული სამშენებლო მასალების (მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ადგილობრივი/რეგიონალური სამშენებლო მასალები და მშენებლობის მეთოდები),ნაკეთობების და მოწყობილობების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.
  - სამშენებლო სამუშაოთა პროცესების ტექნოლოგიური , თანმიმდევრობითი დეტალური აღწერა მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.
  - ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტისა და შენობა-ნაგებობებისათვის.
- **ელექტროტექნიკური ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - საერთო განმარტებითი ბარათი,
  - ნაგებობის შიდა ძალოვანი ქსელების ნახაზები,
  - ნაგებობის შიდა და გარე განათების ქსელების ნახაზები,
  - ნაგებობის ელფარის სქემები,
  - ნაგებობების ელმომარაგების გარე მკვებავი ქსელის სქემა.
  - არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული ენერგიის მიმღები დანადგარების სქემა.
- **სუსტი დენების ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - საერთო განმარტებითი ბარათი,რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კომპლექსში შემავალ შენობაში და მის გარეთ განსათავსებელი დანადგარების და არჩეული სისტემების შესახებ.
  - სახანძრო სიგნალიზაციის განთავსების გეგმა და სქემები.
  - ინტერნეტის ქსელის გაყვანისა და დანადგარების მონტაჟის გეგმა.
    სამუშაოთა ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- **სანტექნიკური ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - საერთო განმარტებითი ბარათი,რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კომპლექსში შემავალ შენობაში და შენობის გარეთ განსათავსებელი დანადგარების და არჩეული სისტემების შესახებ.
  - წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო დანადგარების განთავსების გეგმები.
  - წყალგაყვანილობის მილსადენების სქემა.
  - საკანალიზაციო მილსადენების სქემა.
  - გამწმენდი ნაგებობის გეგმები და მოწყობის ტექნოლოგია.
  - სამუშაოთა ჩამონათვალი და სპეციფიკაციები
- **გათბობა, კონდიცირება, ვენტილაციის ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - საერთო განმარტებითი ბარათი,რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კომპლექსში შემავალ შენობაში განსათავსებელი დანადგარების და არჩეული სისტემების შესახებ.
  - გათბობის სისტემის სქემები და დანადგარების განთავსების გეგმები.
  - საქვაბის მილსადენების სქემა.
  - ვენტილაციის სისტემის სქემები და დანადგარების განთავსების გეგმები.
  - გაგრილების სისტემის შიდა ბლოკების გეგმა.
  - გაგრილების სისტემის გარე ბლოკების გეგმა.
  - სპეციფიკაციებს და სამუშაოთა ჩამონათვალს.
- **სახარჯთაღრიცხვო ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტების სატიტულო სიას და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ(გაუთვალისწინებელი ხარჯები,ზედნადები ხარჯები,გეგმიური დაგროვება და სხვა).
- მშენებლობის ნაკრები ხარჯთაღრიცხვა. (მინიმალური სასიცოცხლო ციკლის ხარჯების მეთოდი/მიდგომა)
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები.
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.
- როგორც ლოკალურ, ასევე კრებსით და საობიექტო ხარჯთაღრიცხვებში ცალ-ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მასალების ღირებულება, მუშათა ხელფასი, ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება.

- **ექსპლუატაციის პროექტის ნაწილი, მინიმალური სასიცოცხლო ციკლის ხარჯების მიდგომის გამოყენებით, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:**
  - ინფორმაცია კომპლექსის და მისი ცალკეული ობიექტების საშუალო წლიური მოვლა-შენახვის ხარჯების შესახებ (ხსნარებით დამუშავება და სხვ.).
  - შენობების ძირითადი ელემენტებისათვის მიმდინარე შეკეთების პერიოდულობა და მათი ერთდროული ხარჯები.
  - კომპლექსში შემავალი ობიექტებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდის განსაზღვრა კაპიტალურ შეკეთებამდე.
  - ინფორმაცია მიწის გადასახადის და სხვა საბიუჯეტო მოსაკრებლების საშუალო წლიური ხარჯების შესახებ.

3. **საავტორო ზედამხედველობის გაწევა მშენებლობის პერიოდში მოიცავს**:
- სამშენებლო პროცესების გეგმიურ და არაგეგმიურ ინსპექტირებას. გეგმიური ინსპექტირება უნდა ჩატარდეს (საჭიროების შესაბამისად), ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება ტარდება დამკვეთის მოთხოვნით.
- ინსპექტირებისას აუცილებელია წარმოებდეს საავტორო ზედამხედველობის ჟურნალი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები. ჟურნალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამკვეთისათვის ნებისმიერ დროს.
- ფარული სამუშაოების კონტროლს და ფარულ სამუშაოთა აქტების შედგენაში მონაწილეობას და დამოწმებას.
- საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისას, ზედამხედველი ვალდებულია სამშენებლო პროცესების საპროექტო დოკუმენტაციასთან ყველა შეუსაბამობა და უზუსტობა დააფიქსიროს ჟურნალში და დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს.
- რეკომენდაციების და სპეციალური ტექნიკური დახმარების გაწევა სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში.

4. **მომსახურება ადგილობრივ სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში მოიცავს:**
- მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გაუწიოს დახმარება/კონსულტაცია კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებიდან (ელექტროენერგია, სასმელი წყალი, სატელეფონო და სატელევიზიო კავშირი, ინტერნეტ მომსახურეობა) ტექნიკური პირობების მოსაპოვებლად და სხვა მშენებლობის დასაწყებად საჭირო ყველანაირი ნებართვის მოსაპოვებლად.

შენიშვნა:

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს გარკვეული კორექტივები შემსყიდველთან შეთანხმებით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ელექტრონული (pdf და dwg) სახით, ასევე ალბომის სახით, 3 ეგზემპლიარი.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

შესყიდვის ობიექტით განსაზღვრული პროექტი გამარჯვებულმა კონკურსანტმა შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მიმწოდებელმა დაპროექტების პროცესში შემსყიდველთან ეტაპობრივად უნდა აწარმოოს ყველა ასპექტის შეთანხმება პროექტის საბოლოო სახით მიღებამდე.

3. საკონკურსო წინადადების ფასი

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 55 000 ლარი.

კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადების ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე ნაკლები.

საკონკურსო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

საკონკურსო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

კონკურსანტმა სატენდერო წინადადების ფასში ასევე უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ხარვეზის/ნაკლის ან მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება, რაც შეიძლება შემსყიდველს გაუჩნდეს პროექტირების ან მშენებლობის პროცესში.

საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი - კოეფიციენტი -0.5

ბ) ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება - კოეფიციენტი – 0.2;

გ) გასაწევი მომსახურების ფასი – 0.3.

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

4. ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

საავანსო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელს შეუძლია გამოიყენოს ავანსი, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით.

5. საკონკურსო წინადადება
(კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოსადგენი დოკუმენტები)

კონკურსში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელთა შესაბამისადაც უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

1. კონკურსანტის და/ ან მისი პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (წარმოდგენილი უნდა იქნას პორტფოლიოს სახით);

2. ერთიანი პრეზენტაციის შესახებ, რომელიც შედგება სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთიანი კონცეფციის, განმარტებითი ბარათისა და სამგანზომილებიანი თვალსაჩინო რენდერებისაგან, გეგმების, ფასადის და ჭრილების ჩვენებით (გამოყენებული ძირითადი მასალების მითითებით, ასევე ნაჩვენები უნდა იყოს შენობის კედლის დეტალური ჭრილი).

3. გენერალიზირებული ხარჯთაღრიცხვა პროექრის შემადგენელ ყველა ობიექტზე ცალცალკე.

4. ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერა

5. რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მე-2 პუნქტში მოცემული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით).

6. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი და წესი

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი).

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

საკონკურსო წინადადებით წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 10 ივნისის 14:00 საათიდან 2014 წლის 10 ივნისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გულუას ქ. #6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტო.

კონკურსი გაიმართება 2014 წლის 10 ივნისს 15:00 საათზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ განიხილება.

საკონკურსო წინადადების საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე პირი არ დაიშვება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.“

კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

7. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო პირობებთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემსყიდველ ორგანიზაციაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, გულუას ქ. #6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: 995 32 2753892. 577 33 30 30. 577 92 57 57.

8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი _____, 2014 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის რატი ჯაფარიძის სახით (შემდგომში _ „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 და მეორეს მხრივ, _____, წარმოდგენილი მისი _____ სახით (შემდგომში _ „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: _____.

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა კონკურსი **მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** (CPV71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვაზე (საკონკურსო განცხადების №___) და კონკურსის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება _____ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, კერძოდ საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებენ ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები და სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ი. გელაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის

საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და მომსახურება შესაბამისად არ იქნა მიღებული, მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზები აღმოფხვრას 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების გაწევა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მ ე - 13 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთანერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, მე-5 სართული, ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“.

5.6 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები და სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ი. გელაშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი გადახდის (ავანსი) წესით, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით, შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების

6.5. დაფინანსების წყარო: ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლები

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს“ მიაწოდოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5 მიიღოს მონაწილეობა პროექტის შესაბამის ინსტანციებში შეთანხმების პროცესში წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

7.1.6 გამორჩენილ სამუშაოებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით აანაზღაურებს გამორჩენილი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ხარჯებს.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2014 წლის _____, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, გულუას ქ.№6. ტელ: 2752352 ს/კ: 204911337 სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა # 200122900	
_____	_____
რატი ჯაფარიძე თავმჯდომარე	----------